



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

01 ნოემბერი 2024



N 622/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში შპს „თენგო-2000“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „თენგო-2000“-ის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში არსებული ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 29 იანვარს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში შპს „თენგო-2000“-ის ცემენტის წარმოებაზე (ცემენტის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-72), ხოლო 2023 წლის 20 მარტს აღნიშნული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №127/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ფაქტობრივი მდგომარეობით, შპს „თენგო-2000“-ის საწარმო განთავსებულია ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში, II შახტის ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 62.08.59.045; 62.08.59.005; 62.08.59.020; 62.08.59.021; 62.08.59.022; 62.08.59.023; საერთო ფართობი: 27 380 მ²). აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ცემენტის საწარმო, ინერტული მასალის გადამამუშავებელი საწარმო, ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობის დამამზადებელი საწარმო, ლითონის შედუღების საამქრო და ავტოგასამართი სადგური. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 180 მეტრით (ს/კ: 62.15.53.513), ხოლო დაახლოებით 68 მეტრში ფიქსირდება ვაგონის ტიპის საცხოვრებელი კონსტრუქცია. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ფოცხოვისწყალი, მიედინება დაახლოებით 50 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საწარმოს აღმოსავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 23 მეტრში ფუნქციონირებს შპს „ასტორიას“ ასფალტის საწარმო რაზეც გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-711). ამასთან, საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 85 მეტრში განთავსებულია შპს „ეი ჯი ტრანსპორტ ენდ დეველოპმენტ ლტდის“ სარკინიგზო გადაზიდვების სადგური.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე წლის განმავლობაში ხორციელდება 35 000 ტონა ცემენტის, 73 000 ტონა ბეტონის, 7 000 ტონა ბეტონის ნაკეთობის წარმოება და ასევე, 100 000 ტონა ინერტული მასალის გადამამუშავება. საწარმოს საკუთრებაში არსებული ტექნიკის საწვავით გამართვის მიზნით ობიექტზე ფუნქციონირებს ავტოგასამართი სადგური, რომელიც წარმოდგენილია ერთი გასამართი სვეტითა და 20 მ³ დიზელის საწვავის რეზერვუარით, ასევე, ტექნიკის სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის მოწყობილია ლითონის შედუღების საამქრო, სადაც მოხმარებული ელექტროდების წლიური რაოდენობა შეადგენს 1 000 კგ-ს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 25 მარტს შპს „თენგო-2000“-ის მიერ სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (ზდგ), რომლის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ცემენტის წისქვილის მილის პარამეტრები არ ემთხვეოდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-72) და სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №127/ს) განსაზღვრულ პარამეტრებს, რაც შემდგომი რეაგირების მიზნით ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ობიექტზე განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, შეიცვალა საწარმოში განთავსებული ცემენტის წისქვილის მილის პარამეტრები. კერძოდ, გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცემენტის წისქვილის მილის სიმაღლე შეადგენდა 8 მეტრს, ხოლო დიამეტრი – 0,8 მეტრს. ფაქტობრივი მდგომარეობით, საწარმოში განთავსებული ცემენტის წისქვილის მილის სიმაღლე შეადგენს 27,6 მეტრს, ხოლო დიამეტრი – 0,567 მეტრს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და საწარმოო მიზნებისთვის. ობიექტი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო ტექნიკური/საწარმოო დანიშნულების წყლის აღება ხდება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული არხიდან, რომელიც მარაგდება მდ. ფოცხოვისწყლით. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის ჩაშვება ხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად იცლება სპეციალური ტექნიკის საშუალებით ხოლო, საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები იკრიბება სამსექციან ღია სადრენაჟე არხში, საიდანაც გაწმენდის შემდგომ, ჩაიჟონება გრუნტში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე, ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, შეფასებულია საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის ანგარიშში, ფონურ მაჩვენებლად ასევე გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული შპს „ასტორიას“ ასფალტის საწარმოს გაფრქვევები. ცემენტის წისქვილის მილის სიმაღლის გაზრდა უკავშირდება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების შემცირებას. აღსანიშნავია, რომ სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №127/ს) მიხედვით, საკონტროლო წერტილებად გათვალისწინებული იყო 62.15.02.032 და 62.15.53.016 საკადასტრო ერთეულები. ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ფაქტობრივი მდგომარეობით, უახლოესი მოსახლე ფიქსირდება 62.15.53.513 საკადასტრო ერთეულზე, გაბნევის გაანგარიშებაში საკონტროლო წერტილებად აღებულია როგორც აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ისე, 500-მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვრებში არსებული ოთხი წერტილი. სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №127/ს) მიხედვით, საკონტროლო წერტილებში აზოტის დიოქსიდის ზდკ-ის წილობრივი მაჩვენებელი შეადგენდა 0,19-0,25 მგ/მ³-ს, ნაჯერი ნახშირწყალბადების – 0,04-0,05 მგ/მ³-ს, ცემენტის მტვრის – 0,33-0,76 მგ/მ³-ს, ხოლო არაორგანული მტვერი – 0,30-0,76 მგ/მ³-ს. წარმოდგენილი გაბნევის გაანგარიშების შედეგების თანახმად, უახლოეს მოსახლესთან (ს/კ: 62.15.53.513) და 500-მეტრიან ნორმირებულ საზღვარზე მანგანუმისა და მისი ნაერთების ზდკ-ის წილობრივი მაჩვენებელი შეადგენს 0,005-0,002 მგ/მ³-ს, ნაჯერი ნახშირწყალბადების – 0,0-0,0 მგ/მ³-ს, ცემენტის მტვრის – 0,378-0,174 მგ/მ³-ს, ხოლო მყარი ნაწილაკების – 0,649-0,728 მგ/მ³-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება ხმაურის დამატებითი წყაროების განთავსებას და ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდას ადგილი არ აქვს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები, რომლის მართვა ხორციელდება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ნარჩენების სახეობების მიხედვით, რისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია ნარჩენების მართვის შესაბამისი უბანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში და მასზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მცენარეული საფარი და ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები არ ფიქსირდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილება არ არის დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში, შპს „თენგო-2000“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „თენგო-2000“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 29 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-72) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „თენგო-2000“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
4. შპს „თენგო-2000“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად, ასევე გათვალისწინებული იქნება ჰაერისა და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, მონიტორინგის სიხშირის და შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით);
5. შპს „თენგო-2000“-ისთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 29 იანვრის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება №2-72) განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თენგო-2000“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თენგო-2000“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/622-21-4-202411011336>

